

წმიდა იოვანე დამასკელი

ოქტომბერსა :დ:

სსორებაჲ და ღუაწლნი ყოვლად ღიღებულისა
პატირე ახლისა მღუღელმონაჲმისა
კაპაბოლელთა ქალაქსა შინა წამებულისა*



უელ სადმე ოდესმე ცოდვასა შინა იყო
კაცობრივი ბუნებაჲ და მის ძლით და-
მონებულ იყო მძლავრისა და დამბადე-
ბელისა მიმართ უმადლოდსა მონისა-
და, რაჟამს პირველმან მამამან თვთმფლობელითა
ცნობითა ნებისთ ჰმონა მას და პატიჟად ურჩებისა
ღმრთისა სიკუდილი მიიღო; და ესევე დაუტევა
ყოველთა მისგანთა, ვითარცა სამკვდრებელი
მომსრველი და განმხრწნელი. ჩამეთუ ყოველი
რომელი საწუთოსა ამას შემოვიდოდა, ვითარცა
მძვინვარისა რადსმე და განმჭრელისა მძლავრისგან,
მოშიშ იყო სიკუდილისგან, ოდეს იგი არღა იყო
ჯერეთ სასოებაჲ აღდგომისაჲ. ღოღო ვინაფთგან
დამბადებელმან ბუნებისამან წყალებითა ბუნები-
საჲთა, რომელ დაჰბადა, სათნოყოფითა მამისაჲთა
და შეწევნითა სულისა წმიდისაჲთა მიიღო ბუნე-
ბაჲ ჩუენი და იქმნა რად იგი, დაიბადა და ამით
განაახლა და განაძლიერა დაბადებული ძალითა
ღმრთეებისა თვისისაჲთა და უღელი ცოდვისაჲ
განჰყარა მისგან, «რამეთუ ცოდვაჲ არა ქმნა
(რადთა საწინაწარმეტყუელოდ ითქუოდის), არ-
ცა იბოვა ზაკუვაჲ პირსა მისსა» (1 პეტ. 2,22). ო
მძლავრქმნილი იგი მონაჲ კვლთ-იგდო, რაჟამს
შეჯულთა კაცობრივისა ბუნებისაჲთა ზეშთა კაც-
თა მოქალაქობდა და ღმრთისა მამისა, ვითარ იგი
იყო, თანამეუფებდა და, ვითარ იგი იქმნა, მორ-
ჩილებდა, ვიდრემდის ჩუენი სიკუდილი მიითუალა.
ჰიერიითგან არღარა სიკუდილი კაცისა განსუენ-
ებაჲ არს და შრომათაგან თავისუფლებაჲ, უკუეთუ
ოდენ ინებოს, რამეთუ ძილად შეცვალეულ არს;
რამეთუ სძინავს, ვითარცა კუალად აღდგომადსა
და მიმდებელსა შრომათა მტელეულისათა. ომიერ
სიკუდილსა შეჰკადრებენ მორწმუნენი. ომიერ აწ
საქებელად სიტყვსა, წინამდებარე ესე კაცობრივ-
ისა ცხორებისათჳს სულმოკლე და სიკუდილისა
მიმართ მოსწრაფე იქმნა, კიბედ ზეცად მიმართ
უწყებითა ამისითა. ჩამეთუ არღარა ჯოჯოხეთად,
არამედ ზეცად აღჰყვანან სულნი მართალთანი და
კვლთა შინა ღმრთისათა დაასხამს მათ. [არნა

10 ჩუენ მივიდოდით წინამდებარისა, არათუ შესხმისა
შეჯულთა მიერ შემკობად კაცისა ღმრთისა და ვი-
თარცა ვეავთ ესე, ზეშთა ყოველთა კაცობრივთა
შესხმათა შეჯულისა აღსრულისათჳს, არამედ
ზატად სათნოებისა გამოგზატოთ იგი და საზოგა-
15 დოდ სავაჭროდ ცხორებისა ყოველთა წინადაუდ-
ვათ, საბაძველად კეთილისა მიმთხუევადათჳს და
სადიდებელად ღმრთისა, რომელი თავისა თვისისა
თანა ადიდებს მადიდებელთა მისთა. ორამედ ამიერ
იყავნ დასაბამი სიტყვსაჲ.

20 II. საყუარელნო, კაცი ვინმე იყო **კაპეტოლელთა**
ქალაქსა, სამთავროთ **იორდანისაჲთ**, რომელ არს
მეორისა **პალესტინისაჲთ**, **პეტრე** სახელის-დებით,
შემოსილი პატვიითა მღღელობისაჲთა, წარჩი-
ნებული ტომითა და სიკეთითა და საწუთროდსა
25 სიმდიდრითა, დაღათუ არარად შეერაცხნეს იგინი.
ჩამეთუ საშუებელითა ცხორებისაჲთა და მო-
ქალაქობითა ბრწყინვალეთა სამოსელთაჲთა სიჩ-
როებისა ფრცხილთაგან აღზრდილ იყო, ვიდრემდის
ყოველთავე ქუეყნიერთა მსწრაფლ წარწყმედა-
30 დობაჲ გულის-ხმა ყო, კეთილითა შეცვალეებითა
შეცვალეებულმან და კორციელობისაგან სულიერ-
ქმნილმან. ოა ქორწილსა რად ეზრახა, ბუნებასა
მისცა თანანადები მწყობრთა წმიდათა სოფლად
შემოყვანებითა, რამეთუ შშობელ იქმნა შვილთა —
35 წულისა ერთისა და ქალთა ორთა. ღოღო იყო იგი
სიყრმიითგან საღმრთოთა წერილთაგან სწავლულ
და თვისისა სამშვნევისაჲთა უპირატეს მპყრობ-
ელ საეკლესიოთა წესთა და შეჯულთა სწავლისა,
ყოველით კერძო ღმრთისა მიმართ შემოკრებითა
40 გონებისაჲთა და მისითა ზრახვითა, ვითარცა
მხოლოდ სასურველისა და საწადელისაჲთა, და
დატკობითა სასისაჲთა საღმრთოთა სიტყუათა
მიერ. ოინაჲცა ღმრთისა წინაძლომითა და თან-
ამოქმედებითა საღმრთოთა წერილთაგან ისწავლა
45 ძუელისა და ახლისა ზოგად შემოკრებითა. ომიერ
პოვა გზაჲ ცხორებისაჲ. ოა ყოველნივე ამის ცხ-
ორებისანი აჩრდილთა და სიზმარათსა უუძღურეს
და უსაცურეს შეჰრაცხნა, უფროდსდა აღირჩია

* კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, VII, თბ., 1961. გვ. 194-223.

აღებად ჯუარისად და შედგომად უფლისად. ომით რად შეათხზა გონებად და ყოველივე თავი თვისი ღმრთისა შეწირა და იყო დასაბამი ღმრთისმსახურებისა სრბისად, საცხოვრებლითა სიტყვითა არწმუნა ქორწინებულსა მისდა, მისთანავე აღ-
 5 რჩევა სიწმიდით ცხოვრებისად, რომელი იგი მზად იხილვა შეწყნარებად კეთილთა სწავლათა. ჩამეთუ წინადთვე ჩუეულებითგან სწავლულ იყო მორჩილებასა მის მიერ და ზოგად ამისითა ქმნითა ვიდოდეს გზათა ცხოვრებისათა. ყოველივე უკუე
 10 საკმარი დედაკაცისა მის მოსწრაფებით სრულყო, უფროდსა შეერთო მას სულიერითა ერთობითა და თანა შეეკრა განუცნელითა საკრველითა სულისადთა. ჩამეთუ არარად ესრეთ შეანაწევრებს თანადტრფილთა, ვითარცა საღმრთოდ სურვილი
 15 თავისაცა თვისისა მიმართ და ურთიერთას. ოც და ათ წლის იყო, რაჟამს კეთილი ესე გულის-სიტყუად მის შორის აღმოეცენა და ტკბილსა მას უღელსა მაცხოვრისასა დაემორჩილა. ღოღო ორნი იგი ასულნი **საბინიანეს**, მოწამეთა შორის ახოვნისა მარადის-მოცსენებულისა ვანსა შეპყდრნა, ორ
 20 წლის ყოფასა ჰასაკისა მათისასა მცირედ უდარეს. ოა არს ადგილი ესე **ნოტომთ** კერძოდ, დასავალით ქალაქისა მის, სადა იგი მიიყვანებდა რად მათ, ზედა დასდვა სამკაული ნაქსოვთა ბრწყინვალეთად და ქვათა ფერშუენიერთად, და სამკაულებითურთ
 25 მათით შეპყდრნა იგინი ღმერთსა და მოწამესა მისსა, მუნ მყოფთა მათ მოღუაწებით შემკულთა წესიერთა დედათა, რიცხვთ რვათა, თანამოქალაქე ყოფად. ჩომელნი სიჩრდითგან საღმრთოსა მას ტაძარსა შინა მკვდრობდეს და უხილავსა მტერსა სულიერად
 30 წყევებოდეს, და წყობისათვის მისისა ცხებულ ჰყოფდეს თავთა თვისთა მარხვითა და ვედრებითა, და განლევითა და ქენჯნითა ცოცხათა სულთა განადლიერებდეს. ჩამეთუ სული და ცოცხნი ურთიერთას წინააღმდეგომ არიან და იცის ერთისა მოკლებამან მეორისა მიცემად ძლევისად.

III. ომით შორის, ვითარცა კიცუნი დედათა შედგომითა, სამოღუაწეთა ალაგთა ვიდოდეს, და იწურებოდეს, და ჰასაკისა მათისა თანა აღ-
 40 ორძნებოდა კეთილი გულის-სიტყუადცა. ომითგანი უმწესესი სახეშუენიერ იყო და ბრწყინვიდა სიკეთითა, რომელი ესე არა მცირესა ზრუნვასა შეუქმოდა ღმრთისა სათნოყოფილთა მათ დედათა. ჩამეთუ არა ურწმუნო იყვნეს, ვითარმედ
 45 შუენიერებად სიჭაბუკესა თანაშექუსული ნივთ სიძვსა ისართა იქმნების უკრძალველთათვის, რამეთუ კეთილსაცა შინა უწყის ბოროტმან დარწყუმად სამჭედურისად. ოსრეთ რად მოშიშ

და ურვეულ იყვნეს, მრავლითა სწავლითა მო-
 იმტკიცებდეს მას და უმრავლესითა ლოცვითა ევედრებოდეს ღმერთსა ცხოვრებად ყრმისა და
 5 მისდა შუენიერებასა ცოცხთასა შემაშფოთებელ ყოფად სულისა შუენიერებისა. ჩომელი იგი ყოცა მან, რომელმან იცის შესმენად ვედრებისა მათისად, რომელნი ყოვლითა გულითა ჰხადოდინ მას. ჩამეთუ წყლა გული მისი სურვილითა თვისსა
 10 მიმართ სიძემან მისმან ქრისტემან, შუენიერმან სიკეთითა უფროდს ძეთა კაცთასა; რომლისა ღმრთეებისა კამკამებათაგან განბრწყინდა დამწინდებელისა მისგან სულთადასა, რომელი იგი საცნაურად შეერთებითა ნაყოფიერ ჰყოფს მათ
 15 — ოც და ათეულად, სამოცეულად და ასეულად სრულებითა სათნოებათადათა. ოინადცა შეემშჳულა მოღუაწებასა, აჭირვებდა მუცელსა და დაიმონებდა და დედოფალსა დაიმკველებდა, რამეთუ დასაბამ ნაყოფთ-გამოდებისა ყუავილსა
 20 და სათნოებისად მარხვასა იტყვან. ომისთვს სხუანი იგი ყოველნი დღესა მარხვით გარდაჰვლიდ-
 25 იან და მიმწუხრიდა სრულ ჰყოფდიან საკმარსა ცოცხთა უძლურებისასა. ღოღო იგი ორ-ორიდა და სამ-სამით მიიღებნ საზრდელსა, საკმარსა და საჭიროსა და მხოლოდ მპყრობელსა ოდენ
 30 ცოცხთა აგებულებისასა. ჩამეთუ არარას გემოვნებითაგანსა შეეხებოდა არცა რას, რაოდენი განმაპოხებელ ცოცხთა არს და დუდილისა აღ-
 35 ძრვითა განაჴურვებს ორდანოთა შერევისადთა, არამედ განყენებულ იყო მშვნეიერთაგან და ხილისა, ღვინისა და ზეთისა და სხუათა ესევი-
 40 თართა ყოველთაგან, რადთა სულით და ცოცხთა ქალწულად დაუცვას თავი თვისი ტრფილსა თვისსა, რომლისა სურვილითა წარტყუენულ იყო გონებითა. ღოღო მარხვასა თანა შეუდგინა სხუ-
 45 ადცა იგი ძურისხილვად ცოცხთად, რამეთუ სა-
 მოსელი აქუნდა თმისაგან თხათადასა ქსოვილი და სახილველ იყო წყაროდ მატლთად ცოცხთა შინა
 50 მისთა; რამეთუ ნეფსითითა წუთხითა უნებლი-
 ეთსა მას **იობისსა** მიმსგავსებულ იყო. ოინადცა მისთანათადა მათ დათა თანაუხაროდა და განცუ-
 ბრებულ იყვნეს, ხედვიდეს რად მას სიჩრებასა შინა განმტკიცებულად ცნობითა სათნოებისადთა და უძლურებასა შინა ჰასაკისასა ძალითა გულს-
 55 მოდგინებისადთა. ოსრეთ ვიდოდა ძალითი-ძალად უზეშთაესად, ვიდრემდის მიიწია სრულებასა ცოცხთისადაცა და სულიერისა ჰასაკისასა, და ოც და ათ წლის რად იქმნა, სრბად აღას-
 რულა, სარწმუნოებად დაიმარხა, განვიდა წუთ-

ჟამისა ცხორებისაგან, კეთილად გამომფრდელი განხრწნადთა წილ ცვალებითა უზრწნელთადა, ქუეყნისათა წილ ზეცისათადა, გამოთხოითა მძლეობასა ღმრთისა საყუარელსა და ანგელოზთაგან განსაკრებელსა, რაჟამს უძლურებითა დედათა გუამისადა სძლო უზილავსა მტერსა უზომოდ მოქადულსა. სრეთ სამარხოსა წმიდათა და ღირსთასა დაიდვა ჯერეთ მამისა მისისა საწუთრომსავე ცხორებასავე შინა სათნოებით ბრწყინვალეობითა.

IV. ჰომიწოდს მე თხრობად ნეტარისა ამის ჰეტრეს ძისაცა მოქალაქობად. ჩამეთუ იქმნა რამ ათორმეტის წლის, საყოფელი მცირე უშენა მას მამამან სამზრუნველოდ სათნოებათა, მახლობელად ყოვლად-პატიოსანსა ტაძარსა ღმრთისადედისასა, მასვე ქალაქსა შინა. ომას სენაკსა, ვითარცა ცოცხლოვ საფლავსა, შეაყენა იგი; რადთა მკუდარ იყოს კორცითა, ხოლო ცხოველ ძალითა სულისადა; რადთა საკრველსა სულისასა საკრველი ზედადასდვას და სულითა სრბით აღაფრინვოს დამბადებელისა მიმართ; რადთა გარეგანთა განბნევათგან შემოკრიბოს გონებად მისი მხოლოდსა მიმართ ღირსებით საწადელისა შეუნიერებისა. სრეთ რამ შეაყენა ყრმა იგი ადვილმცთომობისათვის სიჭაბუკისა და უსულო მცველი დაუდგინა მას, არა კმასყოფელ უჩნდა მისთვის შემწეობად უსულომსა, არამედ სულიერიცა მცველი შეჰმატა, რამეთუ წინაშე სენაკსა ძისასა სხუად მცირე სენაკი იშენა თავისა თვისისათვის და მუნ ყოფითა ქცევითა თვსთადა თანადმცველცა და ნუგეშინის-მცემელ ყრმისა იქმნებოდა, და მის თანა, ვითარცა ბრძენი ფუტკარი, ღამე და დღე სათნოებათა თაფლისა გოლსა მოქმედებდა და თანაზუოდ თქუმულსა დავითისა: «რაბამ ტკბილ, იტყოდა, სიტყუანნი შენნი, უფროდს თაფლისა პირსა ჩემსა» (ფს. 118, 103). ჩამეთუ შუაღამე იწყებნ გალობად. ოა ცისკრისსა თანა შეჰრთავნ შუაღამისასა; ამას შეუდგენნ მზისა აღმოსვლისასა და კუალად მესამისა, მეექუსისა და მეცხრისა ჟამისა სრულ ყოფასა; და დასლავსა თანა მზისასა სრულ ჰყოფნ ლოცვათა და მისცის დიდებად განმაწესებელსა ჟამთასა და სრბითა მზისა და მთოვარისა და ვარსკულაჲთადა მოქმედსა, დღისა და ღამისა ურთიერთას მონაცვალებითა, სიბრძნით სრულმყოფელობასა წელიწადისა უძარვეობისასა. სრეთ ჰმსახურებდა დამბადებელსა ძითურთ და მოქალაქობდა ცხორებითა სათნოდა, და მოუწყინებელ იყო მსახურებისაგან შვილთადასა იქი და აქა, რამეთუ იყო სიმორე შორის ძისა და

ასულთა მისთა ვითარ ხუთ სასწაულ. ჩომელთა ყოველსავე საჰმარსა უცონელად ადასრულებდა, კორცთა ნუგეშინის-სცემდა და სულთა ზრდიდა საღმრთოდა სიტყვითა და ეტყოდა მათ: «მოვედით, შვილნო, ისმინეთ ჩემი და შიში უფლისადა გასწაოთქვენ»; «მიდრიკენით გულნი თქვენნი ბოროტისგან და ყავთ კეთილი (ფს. 33, 14)»; «ვერვინ შემძლებელ არს ორთა უფალთა მონებად (ლკ. 16, 13)», რამეთუ კორცთა გული უთქუამს სულსა ზედა და სულსა კორცთა ზედა, და ესენი ურთიერთას წინააღმდეგომ არიან. ჩამეთუ კორცნი, ვინადაგან განხრწნადნი არიან, ხრწნილებისათვის სურის, ხოლო სული, ვითარცა უკუდავი, სულიერათვის და უზრწნელთა და დადგრომადთა წადიერ არს. სული მეუფედ კორცთა დადგინებულ არს, ნუმცა ჰმონებს უვადრესი უდარესსა. სდვრთ-მართებული იგი გზით სამეუფოთ უძლოდინ კარაულსა და ესრეთ მიაღწიოს დადგრომადსა ქალაქსა ზეცისასა. წარცდების სახე ამის სოფლისადა, მხოლოდ დაშთების მოსაგებელი ოდენ საქმეთადა. სანვსცნით ქუეყანისანი, რადთა მოვიპონეთ ზეცისანი; და წარმოგჰწერწყუნეთ განხრწნადნი, რადთა ვიშუებდეთ უზრწნელთაგან. უჰრქუათ გიზაროდენ, ყოველსა დაბადებულსა, რადთა მოვიგოთ დამბადებელი.

ომათ დღე და ღამე ზედა დაჰკმობნ მათ და იოტებნ არაწმიდათა გულის-სიტყუათა ცურელებისაგან გულთა მათთადასა. ომათ სიტყუებითა ზრდიდა სულთა მათთა, ვითარცა პურითა ანგელოზთადა. შეხებოდა უკუე ძისა თანა კორციელსაცა საჰმელსა, განძლიერებისათვის კორცთა უძლურებისა, ერთგზის დღესა შინა მითვე ერთისა ჟამისა ქონებითა ჩინებულად მოქცევად და განაგდებდა ყოველსა გემოვნებასა. ჩამეთუ კეთილად თანამუშაყად და თანამკდრად მარხვად აღერჩია, სამთა ყრმათა ცხორებისა მიბადებითა, მხალთაგან და თელსთა ქუეყანისთა ზრდითა და ცერცუთა განცდადა. სრეთ ვნებათა საჰუმოლსა დასთრეუნიდა და ზეგარდამო ცუარსა სულისა მიერ მოიღებდა. ხოლო წმიდათა დღეთა მარხვათა ორმეოცთასა ყოველსა შვდელსა უზმრივ გარდაიკდიდა. ომას რამ ჰყოფნ, ცრემლითა პირსა განიბანნ და ზეთითა გლაზაკთ-მოწყალეებისადა თავსა იცხებნ. სრა მჰმუნვარე რამე, არცა მაწუენებელ ყოფითა, არამედ რომელიცა მივალნ ვინ მისსა სულიერისა სარგებელისათვის, მზიარულებით ეზრახებინ და მის თანა ისერებნ, სანოვადელ ქონებითა სულიერისა მაღლთა სიტყვსა მარილისადათა და იყო ყოვლად-საღმრთო იგი

კაცი ჭეშმარიტებით კაცი ღმრთისაჲ. ჭამობდა უკუე ძეცა ხატთა ზედა მისისა სათნოებისათა, მკერცხლყოფითა ღმრთისა და კაცთა, მოშიშთა უფლისათა. ღოღო მიაწვენდა გუამსა და ძილსა ბუნებითად მიიღებდა, განძლიერებდა საცნობელთა, ჭილსა ზედა განსუენებითა ბუნებითისა უძლურებისაჲთა, არა მრავალსაწყიდლობითა, არცა შუებითა და სიღბოჲთა წინაპატვისცემნ მოღუაწებასა. ჩამეთუ უწყოდა, ვითარმედ არა ცხედართა, არცა საგებელთა ზედა მიწებოდა ადამ, არამედ იატაკსა ზედა სამოთხესა შინა. ჴითარ თუმცა მსახურ ექმნებოდა ბუნებასა, საზრდელითა კუალად აღმოავსებნ განღუელე-ბასა მტკიცესა საზრდელისასა და სასუმლითა განთხევასა წყლისასა; ეგრეთვე სიმაშურალე-სა საგრძნობელთასა განუსუენებდა ძილისა მიერ, რაჲთა უფრთხილეს ყვენეს კორცნი და საცნობელნი მსახურებისა მიმართ და დიდებ-ის-მეტყუელებისა დამბადებელისა. სადა იყო მუნ ჭუმევაჲ კორცებისაჲ და ყვავილ-სულ-ნელობაჲ ღვნისაჲ? სადა მრავალსაწყიდლობაჲ მიპრონთაჲ? სადა ზედადასხმაჲ აბანოთაჲ? სა-და მრავალსაწყიდლისა სამოსლისა სიჩჩოთ მალბილობელობაჲ? არცა სიზმარნი იხილვე-ბოდეს მუნ, არცა მღვდარისა გულის-სიტყუანი დაისახვოდეს, არამედ ყოველი გონებაჲ და ყო-ველი სურვილი იყო სოფლით განკუეთისათჳს და თანამოქალაქედ უნივთოთა ძალთა დაწერად თავისა თჳსისა ზეცისა **იერუსალჴმსა** შინა, რომ-ლისა კელოჲან და დამბადებელ ღმერთი არს, სადა იგი არს მოქალაქობაჲ მოყუარეთა უფლი-სათაჲ. ჴო უკუე მაღალ ზედვითა გონებისაჲთა, მდაბალ და აღუზუგებელ ცნობითა. ჩამეთუ არა თავისა თჳსისად შეერაცხნეს წარმატებანი, არა-მედ მიმცემელისად მაღლისა მისთჳს მოღუაწეთა და მონდობილთა მისდა. ჴიწიან იყო სამოსლითა გუამისაჲთა, ზოლო უბიწოდ მოაქუნდა სამოსე-ლი სჳნდისისაჲ; გან ჭმელ და განჯენჯილ თმითა, ზოლო ცხებულ ზეთითა გლახაკთა-წყალობისაჲ-თა. ჩამეთუ ყოველთათჳს განღებულად აქუნდეს ნაწლევნი, გლახაკთა მოსცემდა საზრდელსა, ზოლო შიშუელთა სამოსელსა; უძლურთა მოიხ-ილვიდა და ნაკლულევანსა აღმოუვსებდა; მოხ-უცებულთა კუერთხი იყო, სიჭაბუკისა განმწურ-თელ, ზღვეულთა და განცდილთა ჴიარ; დაღათუ სულისაჲ ვის უქმნ სესხად მიცემაჲ, მზა. ოდეს იხილა მან ძკრხილული და არ დაადინნა ნა-კადულნი ცრემლთანი? ოდეს ღმრთისა მიმართ მოხარული და არა ვითარმცა თჳთ კეთილი ეყ-

ოფვოდა? თანაიჭირვინ ჭირვეულთა და თანაუხა-რინ მოხარულთა. სნეულთა სამკურნალოჲსაჲ, თუმცა საჭმარ ვინ თქუა სახლი მისი, ეგრეთ იყო. სხჳთ, სხუად უცხოთ-სადგურ წოდებასა მისსა, არა ტყუოდა. ჩამეთუ ყოველისათა ზოლო თჳთ დაშთა შემდგომად მისსა, ღმრთისა მომადლე-ბითა მისდა, ცხორებისა განბრძნობისაჲთა, უმ-რავლესთა სარგებელისათჳს და უფროჲსთა სათ-ნოებათა შინა გამოცდილებისათჳს.

10 ჴინ იყო ესრეთ ქრისტეს-მოყუარე და მარ-ტულთ-მოყუარე? ვინ იქმნა ესრეთ ტყუეთა თანა ტყუე? ოდესმე გამომცხნელ უღლით მონებისაჲთ, ოდესმე ნუგეშინის-მცემელ სიტყვთა ჭეშმარ-იტებისაჲთა და განმამცნობელ ჭუმევაჲ მონებ-

15 ისა, ვითარცა არა მნებებელთა, დაღათუ ეძლოს მიმთხუევაჲ. ჴინ ესრეთ განამცნობნ სიკუდიდ მიყვანებადთა სურვიელად წამებისა მიმართ მათ მიერ, რომელთა იგი იტყოდა და რომელთა იგი ჰყოფდა? რამეთუ არწმუნებდა საწუთოჲსა ამის

20 ცხორებისა უფროჲს აღრჩევად ქრისტესთჳს სიკუდილსა. ჴინაჲცა ყოველთა ეუწყებოდა, ვი-თარცა სარკისაგან, გუამით მისით მკურვალე-ბაჲ სულისაჲ და ვითარებაჲ ცნობისაჲ. ჩამეთუ სასმენელად მიმზიდველთა და მიზიდულთა იტყვნ

25 ჭმობით ნეტარებასა ქრისტესთჳს სიკუდილ-ისასა და უბადრუკ უწოდნ უმჯულოთა და სი-კუდიდ მნებებელთასა. ჴი უმეტესსა აჩუენებნ სიკუდიდ ნებისა გულის-მოდგინებასა, ვიდრემ-დის თითოეულსა წამებულთაგანსა თანაქნამებინ სჳნდისითა და იტყვნ: «მოივსენეთ, რომელმან იგი **პონტოელისა პილატეს** ჴე წამა კეთილი აღ-საარებაჲ. ჩამეთუ ღმერთი იყო და ჩუენთჳს კაც

30 იქმნა; რამეთუ მდიდარ იყო და ჩუენთადა იყო ყოველ და განუძღომელითა მით მისდა ღმრთისა მიმართ და მოყუისისა სიყუარულითა, რომელთა შეუძლებელ იყო მისთა ერთისაჲ განყოფაჲ მე-ორისაგან». ჴსრეთ შემკობილ იყო ყოველითა კე-თილითა, ვითარცა ჴეთისხილი მსხმოდ სახლსა ღმრთისასა, შესავედრებელ ყოველთა მფრინველ-

40 თა სულებისა შეცთომილთაჲსა. მკეთუმცა ვინმე იხილა მოქმედი სათნოებისაჲ, ცხებულ ჰყოფნ სიტყვთა სწავლისაჲთა, აღუორძინებდა გულის-მოდგინებასა; აღმოუგებდა ნაკლულევანსა, ზო-ლო უდებებით და უძლებებით ცხორებულსა ამხ-ილვებნ, პრისხავნ, ჭლოცავნ; არა განიკითხავნ, რაჲთა არა განიკითხოვს, არამედ პირ ღმრთისა იქმნებინ და გამოიყვანებნ ღირსსა უღირსებისა-გან. ჴეუერდებინ მათ, რომელნი ჰმძლავრობდიან. ჴრა წინააღუდგის. საქმით ასწავებნ განბრძნობად,

ვითარმედ მონისგან უფლისა არა ჯერ-არს ლალ-
ვაჲ. მშკდობის-ყოფელისა მეუფისა მონად მამ-
შკდებელი მშკდობის-ყოფად დააგებნ მტრობითა
ვისითამე წინაშეპრობილთა.

V. წსრეთ ცხონდებოდა ათ წელ შემდგო-
მად მეუღლისაგან ღმრთისათჳს კორციელისა
გარშორებისა. ჰამეთუ თჳთ ცოლიცა იგი მისი
თჳსსავე აღიბაძვა სათნოებით და მოღუაწებით
მოქალაქობასა და წინა თჳსსა წარავლინა წმი-
დად და უბიწოდ ძღუნად ღმრთისა, მომღებელად
მჭელეულსა შრომათა თჳსთასა და შემდგომთა
ღუაწ-მიერ, რადთა შვილ სასუფეველისა ვიქმნეთ,
დავიცვათ ბეჭედი ჩუენი; რადთა გუველთოდინ
ბოროტნი იგი სულნი ჰაერისანი და ანგელოზთა
შეიწყნარნენ სულნი ჩუენნი და ქრისტეს სამწყს-
ოსა აღიყვანნენ, დაუჭნობელთა მათ მწუანვილთა
განსუენებისათა, სადა ყოველთა მზიარულთა წმი-
დათა მკდრობაჲ არს. წსვეითართა ჳმათა ჳმობი-
თა მჳნეთასა აღმატებულ ჰყოფდა წადიერებასა,
ხოლო დაჳსნილთა და შერყეულთა განამტკიცებნ
და უძლურთა გულის-სიტყჳთა განამრთულენ.
წინადთგან უკუე ხედვიდა უღმრთოებისა ღრ-
უბელსა და ნისლსა საცთურისასა განფენილ-
ად და ჳჳშმარიტებასა მიმძღაერებულად ტყუ-
ვილისაგან, რაჟამს მრავალნი დაუმტკიცებელისა
გულის-სიტყჳსა მქონებელნი საადვილითა გე-
მოვნებათადთა წარიტყუენვოდეს ჳჳშმარიტები-
სგან განდგომითა და ტყუვილისა მიმართ ნეფ-
სით-განვრდომითა, და რომელნიმე ლიქნისა
მიერ მიიზიდვოდეს და მოინადირებოდეს, ხოლო
რომელნიმე ნიჭთა ქადებითა მიიპარვოდეს. წყვის
ოდესმე, რომელ ვიეთმე იძულებით ტანჯვითა
დაჳჳსნიდეს და ნათლისა ბნელად განცვალებად
სცემდეს და მგმობარ ჰყოფდეს სახელსა უფ-
ლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა. წინადცა ეძჳნე-
ბოდა, განიჭრებოდა, განსწირვიდა ცხორებასა,
უცხოვრებოდ შეერაცხა ცხორებაჲ. სუროდა სი-
კუდილისა და ამიერ განჳსნისათჳს, ვითარცა
ქვებითა იცემებოდა გმობათაგან.

წსვეითართა ბოროტთაგან ხედვიდა რად სო-
ფელსა მოცუულად, ვითჳს ნეფსით დაგლახაკნა,
რადთა ჩუენ მისითა სიგლახაკითა განვმდიდრ-
დეთ. ჰომელი იგი შჳის ყოველსა ქუეყანასა სი-
მართლით, **პილატესგან** განისაჯებოდა, რადთა
ჩუენზედაჲ იგი სიკუდილისა განჩინებაჲ დაჳჳს-
ნას. მფალმან დიდებისამან სირცხული ჯუარ-
ისაჲ შეურაცხყო, რადთა გჳრგჳნითა დიდებისაჲ-
თა შეამკოს კაცი. ჰომელმან ცოდვაჲ არა ქმნა,
არცა იპოვა ზაკვაჲ პირსა მისსა, ჩუენი სიკუდილი

მითუალა, რადთა სიკუდილისა მიერ განაქარვოს
მქონებელი იგი სიმტკიცისა სიკუდილისაჲ და
გამომიჳსნნეს მონებისაგან მისისა, შიშითა სი-
კუდილისაჲთა შეჳყრობილნი. ჴურიმალსა იცა,
იგუემოდა, პირსა იცემებოდა მეუფე იგი ყო-
ვლისა დაბადებულისაჲ, რადთა ჩუენ ზიარ დი-
დებისა მისისა მყვნეს. სისხლი სამეუფოდ მონა-
თათჳს დასთხია საჳსრად თჳსისა მიმართ მამისა.
ოიდ არსა უკუეთუ ჩუენცა სისხლი სამონოდ
მეუფისათჳს დავსხიოთ? თანავიენოთ ქრისტესა,
რადთა თანავიდიდნეთ; თანამოგუედეთ, რადთა
თანაღვდგეთ. ჴერ ღირს არიან ვნებანი ამის ჟა-
მისანი ყოფადისა მისთჳს დიდებისა ჩუენდა გამო-
ცხადებადისა. ჩუ ვჳპრიდებთ განხრწნადთა კორ-
ცთა, რადთა უხრწნელებით მოვიხუენეთ იგინი.
ჰივსცნეთ სულნი, რადთა ღმერთი შევიძინოთ.
წღვიაროთ ქრისტე ძედ ღმრთისად და ღმერთად,
რადთა აღმიარნეს ჩუენ წინაშე მამისა თჳსისა ძედ
ღმრთისა და თანამკუდრად თჳსსა. ოავიცვათ ჰა-
ტივი ძეობისაჲ, რომელი მოვიღეთ სულისა მიერ,
რადთა ჩუენ ვიქმნეთ ძედ სასუფეველისა. წითარ-
ცა არმურიანსა და სულმყრალსა ჰაერსა შინა
მყოფი სურვიელ არნ ყნოსად წმიდისა ჰაერისა,
ვგრეთვე ესე ნამდჳლვე მარადის-მოსა ჳსენებელი
მოსურნე იყო გარეგან-ყოფად საწუთოდსა ამის-
გან, რადთა გარდაწმდილსა ადგილსა მიწუენითა
წარიძღუნას სულმყრალი იგი სიბოროტე გმო-
ბისაჲ. მფროდსლა ამას გოდებდა საღმობიერ-
ითა ტირილითა, ესმოდა რად მონად და აგებული
გმობით-სიტყუად ყოველთა დამბადებელისათჳს,
დაღათუ ვერვინ იკადრებდა მზილებად მგმობარსა
მას სიფერაგესა თაფლით დაფარულებისათჳს აფ-
სინდისა. ჰამეთუ ესრეთ ჰგონებდეს ერის მაც-
თურნი იგი ცუდზღაპრობით მომთხრობელნი
ამისნი ერთმთავრობისა მსახურებაჲ, ღმერთად
მამისა ოდენ პირუტყუულად თქუმითა; ხოლო
ძესა და სიტყუასა მისსა მონად აღიარებდეს და
აგებულად, და უჰატიოებითა ძისაჲთა მამასაცა
უჰატიო ჰყოფდეს; ვითარმედ იგი, ჳჳშმარიტად
რომელი არა ჰატოესცემს ძესა, არა ჰატოესცემს
მამასა, რომელმან მოაფლინა იგი.

VI. წმათ სიჩქურთა სმენითა ნეტარი იგი და
ღმერთშემოსილი, რომელი წინაიცნა გულის-
სიტყჳთა წინაწარმცნობელისა და არაარსთა
არსებაჲ მწოდებელისგან და წინა განისაზღვრა
თანახატ ყოფად ძისა მისისა, მძჳნარედ განიჭრე-
ბოდა და განკფდებოდა და სიკუდილ მიეწეოდა.
წსრეთ რად მრავალნი ჟამნი წარვლნა შფოთუ-
ბასა შინა გულისსიტყუათასა, საღმრთოდსა რა-

მსმე წინაგანგებისაგან, რომელმან უწყის ქმნა და ნებისა მოშიშთა მისთაგან, შთაგარდა სენსა კორცთასა, რადთა სულითა უმრთელეს იქმნეს. ზინაძეა კორცნი უკუე სენოვანებდეს კინლა და სიკუდილისა მახლობელ ქმნითა, ხოლო სული-სა გულის-სიტყუად მიუდრეკელად ეგო, ერთი ოდენ აქუნდა სურვილი ქრისტესთჳს წამებისა სიკუდილისა, ერთი ურგად, ერთი მწუხარებად, ერთი გლოვად, რამეთუ არა სისხლთ დათხევით ქრისტესთჳს კორცთაგან განეშორებოდა. ომის ძლით რადმე უკუე ყო ბრძენმან ამან ჭეშმარიტებისათჳს ტრფიალმან, რადთა არა სრულიად განეკუას სურვილისგან. ჰიუწოდა ვისმე **კაიუმს** სახელის-დებითა, რადთა ზედა დაადგრეს სენსა მისსა და ჰმსახურებდეს უძლურებითა განლევასა, და ჰრქუა მას: «განვედ უბანთა ზედა ქალაქისათა, განიხილვედ ფოლოცთა, ვიდრემდის მიიწიოს ტაძრად არაბთა. ჰოუწოდე მიერ კაცთა შესწავებულთა, რამეთუ მიკმს რადსმე დადებად შენთანა და მინებს მათი მოწამე ყოფად დანადებისა მის». ღოლო ესე ღონე იყო, რამეთუ კეთილისა წამებისა უნდა მას აღსარებად და დადებად, და ამას ჰყოფდა საგზალ კეთილ თჳსსა.

მდროებელად უკუე სრულყო **კაიუმა** მსახურებად ესე. ოა მოიწინეს **არაბთაგანნი** უმრავლესნი და უკეთესნი, და ვითარ დასხდეს, იყო წმიდამან აღსაარებად კეთილისა აღსარებისა მათდა მიმართ და ჰრქუა: «ყოველი რომელი დაჰფარვიდეს ჭეშმარიტებასა, მტერი არს ჭეშმარიტებისა; და რომელი ჰქადაგებდეს ტყუვილისა და საცთურსა, წინააღმდეგომ ღმრთისა არს. ოა ყოველი, რომელი უფარ-ჰყოფდეს ქრისტესა და არა აღიარებდეს მას ღმერთყოფად, სცთების და წარწყმედად მიიწევს. ოა რომელი შემდგომად **იოვანე** წინაწარმეტყუელისა და ნათლის-მცემელისა სხუასა ვისმე წინაწარმეტყუელად უწოდდეს, თაგსა თჳსსა მცთომ ჰყოფს, რამეთუ «მჯუელი და წინაწარმეტყუელნი ვიდრე **იოვანესამდე** ნათლის-მცემელისა» (ლკ. 16,16), — უფალი სახარებათა შინა განცხადებულად კმობს. ოა აწ თქუენ ნუ სცთებით და ნუცა იტყვთ მაღალსა გარდარევენულად, რამეთუ მხოლოდ ოდენ ქრისტეანეთა სარწმუნოებად არს ჭეშმარიტ, მომეყვანებელ ცხორებად საუკუნოდ». სე და უმრავლესნი მსგავსნი ამათსა ჰრქუნა მათ. ოა კმასაყოფელად რად ამხილა მგმობარ და უღმრთოყოფასა მათსა, არა კინი ოდენ შეუქმნა მათ შფოთი და განძნებად. ჰამეთუ მყის აღეტყინა გულის-წყრომად მათი, ვითარცა ცეცხლი შეეხის რად ლერწამსა ფიჩხოვანსა, კბილთა

იღრჭენდეს და ვითარცა სიანეი ფოფინებდეს, ანუ ზღვს ღელვათაებრ ქართთა მღუღარეთა და კიდედ მცემარეთა სიბორგილით პერულსა წარმოჰნერწყდეს. მრთიერთას უკმობდეს და მკლველობად აღაზრზენდეს. «ეჰა განცხადებასა, იტყოდეს, ჰ უწუეველსა კადნიერებასა. ღედავთა, ვითარ განუბასრნა ჩუენ. ზხილეთ, ვითარ გინებულ და საკიცხელ აჩუენა მსახურებად ჩუენი. ონუ არა მოვაკუდინოთა ესე? არა პირველჟამისა სიკუდილი მოეაწიოთა მის ზედა?» და ეგულებოდა ესე, არა თუმცა ეხილვა იგი უკანასკნელსა ზედა აღმოფშვნვასა. ღოლო მართლისა მის გულის-მოდგინებად სძლევდა სნეულებასა და სალოცველად აქუნდა მათმიერი განჭრად და კელთა შინა მათთა სიკუდილი. ჰაოდენი იგი მას მოეგო სურვილი წამებისა მიმართ, რაოდენი წადიერებად, არამედ ღმერთმან მართალმან, მომცემელმან ცხორებისამან და უფალმან სიკუდილისამან მჯუელიერად და განცხადებულად განბჭო წამებად მისი, რადთა არა მოსალოდებელად სიკუდილად შეერაცხოს მიზეზი იგი წამებისა მისისა. ღოლო იყო დასაბამი ნოემბერისა, ოდეს ესე იქმნა, მეათორმეტე ინდიკტიონი.

სრე უკუე ბოროტად-მსახურნი იგი და მოუმდუვრებელნი გამოვიდეს მიერ აღსაგსედ გულისწყრომითა, სისხლებრ ზედვიდეს და თჳსსა მას უღმრთოებისა ტაძარსა მივიდეს და მუნ მყოფთა ყოველთა ზიართა თჳსისა ურწმუნოებისათა განუცხადეს, რად იგი უყო მათ წმიდამან. ოა უმრავლესად სიბორგილედ აღადგინეს, ვითარ იგი ქართთა მძაფრითა ჩრდილოდსადა აღბორგდის ზღუად. ოა არა თუმცა განსრულ იყო ჰამბავი კაცისა მის ღმრთისა სუკუდილისა, ზედამცა დასხმულ იყვნეს მისდა რისხვითა ბორგნეულთა და ასოეულად აღექნეს კორცნი მისნი. ორამედ ამან დააყენნა ჯერეთ, რამეთუ ჰამბავი სიკუდილისა ექმნა წყალმშრეტელ ცეცხლსა მათსა. ღოლო ღმერთი, რომელი მარადის საანჯმონ ჰყოფს დაფარულსა სათნოებასა მსახურთა მისთასა და მიჰმადლებს მოყუარეთა მისთა სრულსა ნაყოფსა გულის-მოდგინებისასა, აღასუბუქა სენი წმიდისა და მიჰმადლა სიმრთელე კორცთა მსახურყოფად სულისა წადიერებასა. სრეთ აღადგინა იგი სნებისაგან და კუალად უგო პირველივე ძალი კორცთა კუალად მიმოქცევად უბანთა შინა ქალაქისათა. ჰამეთუ ბოროტად ბორგნეულთათჳს, ვითარცა საწერტელი რადმე იხილვებოდა და უხილავისა მტერისა მახვლ გულისა შეირაცხებოდა. ჰომელი იგი, ვითარცა

მამად გინებისად და ამპარტავანებისად. საგინებელ თვსსა შეპრაცხდა სიმწნესა მოწამისასა. «ვინ არს ესეო, იტყოდა, რომელმან ესოდენ შეურაცხევნა მომზირალობანი ჩემნი? ვინ ესე, რომელი მოწამებისა კარსა განღებდა ღონე-ჰყოფს? ვითარ ესე ლაღ პეროის მძლავრებისა ჩემისა ზედა? აღვძრნე მსახურნი ჩემნი მოკლვად მისსა. სრამედ ვჰხედავ მას შემკადრედ სიკუდილისა, ნუ უკუე ვექმნა მომატყუებელ სასუფეველისა». ჩამეთუ ნამდვლვე ეშურების საწყალობელი ცხორებასაცა და სიკუდილსა მართალთასა, არამედ პირველი იგი მორჩი გარდაქცევისა მისისა, ამპარტავანებად ცნობისა სძლევს შურსა, უფროდსა თვსად მიიზიდავს შურსა და მკლველობად აღსძრავს, ვითარცა ძუელსადვე **კაენს აბელისთვს**; არა უკუე ძმათა, რამეთუ ვერ ვირწმუნებ ძმად წოდებად, რომელნი არა შვნა ემბაზმან სულისა მიერ, არამედ მიმღებელთა მისვე ბუნებისათა. სარნა ნამდვლვე თავისა თვსისათვს აშენებს ბოროტსა და კნარცვ თხარა, რომელსა თვთვე შთავარდა განცხადებულად.

«ჩასა იტყვ, ჰ განდგომილო ვეშაპო, ზეშთა აღზუავებულო და დიდად მოქადულო, დააკუეთება გოდოლსა კორცთასა? არამედ ვერ დააკუეთო შეურყეველი ცნობად სულისა. ჰოაკუდინება კორცთა სიმდაბლისათა? მოაკუდინე, უკუეთუ მიგიშუას ღმერთმან, არამედ მარგალიტი სულისა გამოჩინებად არს საჩინოთა უბრწყინვალესად. ძიხილე მე, რაბამი კორცითა უძლურითა გჴყვები შენ უკორცოსა. შაგაკუეთო შენ მძლავრ დაცემითა ბრწყინვალითა. სიყუარული ვითარცა ფარი შემიმოსიეს; სასოებად მაქუს ჩაფხუტად ცხორებისად; მიგაპყრა ფარი სარწმუნოებისად, ამან განუცდელ მყოს ისართაგან შენთა და იგინი კუალად შენდამი ტყორცებულ იქმნენ. მაქუს მახული უხილავი, წარმკუეთელი თავებსა ძლიერთასა, სიტყუად ღმრთისად. სამქვობით გეშურდულეობდი და ვითარცა გოლიათსა დამაკუეთებელ გექმნებობდი წოდებითა მამისა და ძისა და წმიდისა სულისადათა. შაჰსნილ არს კაცობრივი გუამი, არამედ მოიძარლუა ზიარებითა ღმრთეებისადათა. ჴენ ზენადთ შთამოვრდომილ ხარ, ხოლო მე ქრისტე იესუს მხერ ჩემისა ღმრთისა და შენისა შემოქმედისა და მსაჯულისა ზეშთა ყოვლისა მთავრობისა აღყვანებულ ვარ, მან მომმადლა მე ახოვან ყოფად შენ ზედა». სვეითარად ეზახებოდა მარადის-მოკსენებული მოწამე ჰუმმარიტებისად, ხოლო იგი მსგავსად გუელისა თავდაფქულისა, ჯერეთ გულარძნილებდა კუდითა ურცხნოებით

აღძრვად მსახურთა თვსთა, რადთა შური იძიოს მის ძლით, რომელნი იგი ფრიად ექადოდეს და გინებითა რცხიდეს წმიდასა მას. ხოლო იგი შეუძრწუნებულად დგა უშიშითა ცნობითა, სურვილით მოსალოდებელისათვს მისგან სიკუდილისა, რამეთუ ესე იყო ღამე და დღე წურთად მისი. შა ფრიად ვვედრებოდეს მას ყოველნი თვსთაგანნი, მოქალაქენი და მეგობარნი, მიდრეკად გულისწყრომისაგან მაშინებელთადას. ხოლო იგი — «ნებად უფლისად იყავნ» — თქუშითა უფროდს და უფროდს განცხადებულ მტერთა ჰყოფდა თავსა თვსსა. ჩამეთუ უწყოდა მეტყუელი: «რომელმან აღმძაროს მე წინაშე კაცთა, აღვიარო იგი წინაშე მამისა ჩემისა ზეცათადას»; და კუალად რომელმან იგი თქუა: «უკუეთუ დაიდუმო, არა სთნავს შენ შორის სულსა ჩემსა».

VII. ჴინადცა ზეშთა აღმატებული იგი კადნიერებად მისი ვერ თავს-იდევს. ჩამეთუ მიიმე მათდა იყო სახილველი იგი მსმენელთა მათდა წამებისა მისისა საღმრთოდასათა, ამისთვს წერით უწყებულ ყვნეს მათდა მიმართ თქუმულნი იგი მართლისანი **ომარისსა**, ძისა **ოლიდისსა**, მძლავრისა **არაბთადას**, რომელსა აქუნდა მთავრობად **იორდანისა** მკვდრთა **არაბთად**, კაცსა ყოვლად სასტიკსა და შიშისა მადინებელსა თუალთაგან. ჰომელმან იგი მიიღო რად წიგნი მათი, მიუწერა **ტრიხოფროფსა** მთავრობისა მის მიერ ხუედრებულსა **ზორაას** სახელის-დებით მოყვანებად წმიდისა და გამოკითხვად მისგან, უკუეთუ აქუს-ძია ჰუმმარიტებად წერით თქმულთა მისთვს და უკუეთუ უარ-ყოს თქუმად მათი, თავისუფლად განტყვებად იგი ტანჯვათაგან, რამეთუ უწყით თქუმად მრავალთა მიერ მრავლისა რაღს უჯეროდს სიტყვსა ცნობაგანსრულობისგან, რამეთუ უწყის გონებადმან თანაღმობილ და დავსნილ ყოფად კორცთავე თანა. ხოლო უკუეთუ მდგომობად და კადნიერებად აჩუენოს ქონებითა ცნობისა უქცეველისა და უცვალებელისადათა და მასვე ზრახვად და თქუმად დაამტკიცებდეს, საჰვრობილითა და ბორკილითა შეიცვედ იგი და მიერ თქმული წერით აუწყედ მას. სე წიგნი რად მიიღო **ზორაას** და **კაპიტოლეელთა** ქალაქად მიიწია, დაჯდა საყდართა ზედა და ბრძანა მოყვანებად წმიდისად, რომელი იგი წარმოდგა ქონებულისა მის თანა აღსარებისა პირველითგან. მაშინ უბრძანა **ზორაა** წარკითხვად წიგნი იგი მთავრისად და შემდგომად წარკითხვისა ჰრქუა წმიდასა, ვითარმედ: «**ამირაასა**, რამეთუ ესრეთ უწოდენ მთავრებსა **არაბთასა**, მოუცემიეს შენდა ცუმევა კაცთ-მოყუარებისა

სახისა ადგილად სიტყვს-გებისა, ლტოლვად ბრალობისა და მიზეზად ცხობებისა, რომელი ჩუენცა სამართლად გუგონიეს სენითა რადთმე ცნობაჲნებულთათჳს. «ქუან თუ რაიმე უჯეროა, არა დაშვად, არცა პატიჲს მიჰდად, არამედ შეწყალებად მათდა სნებისათჳს. ჴინადცა რაოდენი მოუწერიეს ამირასა, ჴეშმარიტ არს». ჩამეთუ უმეცრებითა ბრალთა არა და არცა დასცხრებოდა ქმნად ქველის-საქმისა, არამედ უფროსდა კრული ქრისტესი სიყუარულით თანა შეეკრა კრულთა მათ საპყრობილისათა და თანამოქმედად იკუმედა ზეთსა მას მოწყალეებისასა. ჩამეთუ უწყოდა, ვითარმედ ვითარცა ზეთი განაპოხებს მორკინალსა, ეგრეთვე მოწყალეებად სულიერად ახოვან ჰყოფს მოღუაწესა. სე რად ესრეთ აღესრულებოდა, ულიდ, ზემოთქმული იგი მთავარი არაბთაჲ, მთავარდა სნებასა და ყოველით-კერძო შემოკრიბნა შვილნი და ნათესავნი თჳსნი თავისა თჳსისა მიმართ. ჩამეთუ სიკუდილისა წინამაუწყებელ იყო სენი იგი და მოქადულ განსლვისა, რომელი შეუდგა ორთა თუეთა. ჴინადცა ომარ, მთავარი იორდანისა არაბთაჲ, წარვიდა თჳსისა მამისა, ამას გონებასა მოუჴდა კადრებად პეტრეს სანატრელისა კაცისა და მიუთხრა მშობელსა და ვითარცა რკინამან აღმახუა რკინად. ჩამეთუ იგიცა სისხლის-მჴამელი და მოსისხლე კაცი იყო, მარადის მბერველ მკლველობისა, ბრძანა, რადთა კრული მიიყვანონ მისსა წმიდად იგი.

VIII. ჩარმოვლინა უკუე წარმეყანებელი ამისი, აღმკედრებული საჴედართა მალემსრბოლთა, და ერთსა იანვარისა თჳსასა შევიდა ქალაქსა კაპეტოლელთასა. ჴმნა ბრძანებული მიცემითა წიგნთა მიერ მოღებულთაჲთა და მათ წილ მიყვანებითა წმიდისაჲთა, და შეკრულ იყო მოწამე ჯაჴვთა ქედისაჲთა და ბორკილითა კელთაჲთა: «თუე ერთ შჯის შჯული, არამედ ჰრიდე თჳსა თჳსსა და ნუ განსცემ კორცთა ტანჯვად ზოლო სულსა სიკუდილ. ჩამეთუ რიდობითა და თანალმობითა არამცირედითა შეპყრობილ ვართ შენთჳს. სარნა არა თუ შენ იჴსნე თავი თჳსი ტანჯავთაგან, ვერვის ძალუც ვსნად შენი. ჴხოლოდ უვარყავ, რასა იგი იტყვან თქუმად შენგან და წარვედ ცხოვნებული სახიდ თჳსსა». სევეითარსავე უქმობდეს სისხლთა მიერ თჳსნი და მეგობრობით შეთჳსებულნი საწყალობელად განაზრახებდეს და ფარულად მოქენებდეს: «ნუ განსცემ თჳსა თჳსსა სიკუდილ, ჴ საყუარელო». ჴოლო მან ყურნი დაიყვანა მსახრვალთა მიმართ და ვითარ ფრიალი ღუმილი იქმნა, ვითარცა მჴნემან ქრისტეს-მჴედარმან

მეფისამან, ფრიალითა კადნიერებითა და შეუძრწუნებელითა ცნობითა თქუა მათდა მიმართ: «ჴეშმარიტსა გეტყვ, არა ვტყუევი. სრა ოდეს მაჴსოვს ჩემი არა სიმრთელე ცნობისაჲ, ჴამისა მისებრ სნეულებისა ჩემისაჲ და რად იგი ვთქუ, ჴეშმარიტ არს, მაშინ». სე თქუა და კუალადცა დიდითა და ბრწყინვალითა ჴმითა და შეუძრწუნებელითა ცნობითა აღიარა კეთილი აღსაარებაჲ და კუალადცა წარმოთქუა, რად იგი ვთქუა პირველ, და უმრავლესიცა შესძინა პირველსა. სე რად ესმა ჴორაას, ვითარცა ბრძანებულ იყო, შეკრული საპყრობილედ მისცა წმიდად იგი. ოა წერით აუწყა ომარს, რად იგი იქმნა, და ბრძანებაჲ დადგა, რადთა არავინ ქრისტეანეთაგანნი უტეონ შესლვად მისსა. ჴოლო იგი შეკრული და საპყრობილეს ჰყრობილი, მოწყალეებისა არა დამეიწყებელ იქმნა შეწყუდევით დაყოფილი საპყობილესა. სრეთ სრულ ყვეს რად მგზავრობად, მიიწინეს კასიად, რომელ არს მთად ჴედადამხედვარი დამასკოჲსა ქალაქისაჲ. სადა იგი პირველ შუენიერი მონასტერი შენ იყო წმიდისა თეოდორესი, მდიდარი პატიოსანთა მონაზონთა მიერ. ჴოლო უკუანადსკენელ განჴრეს იგი ნაწილისაგან მათისა მძლავრთა არაბთასა და იშენეს თავთა თჳსთაჲთ პალატები. აომელსა ჴედა მაშინ იმყოფებოდა ულიდ, მძლავრი არაბთაჲ შეპყრობილი სნეულებითა.

სრამედ რომელი იგი კნინდა და თანა წარმჴდა მე, არცა მისი უჯერო არს შეძინებად თხრობასა ამას. სამოვიდა კაპეტოლელთა ქალაქით საღმრთოდ ესე კაცი, ვითარცა ცხოვარი დაკლვად მიყვანებული. სრა ჴდებოდა, არცა ღაღადებდა. სრცა აღადებდა პირსა თჳსსა, ვითარცა კრავი უმანკოდ მსხუერპლ ყოფადი და თანა შეუდგა მას სიმრავლე ფრიად მრავალი, განკჳრვებულნი ელვარებისათჳს პირისა მისისა დიდებულებისა. ჴამათა თჳსი საჴიროდ შეურაცხ ყვეს, ღედათა უგულებელს-ყვეს ცვაჲ სახლებისაჲ, ქალები სასძლოები შეჴკადრებდა ჴედვასა მამაკაცთასა, ჩჩვლნი დაუტყვებდეს წიაღთა ღედობროეთა, რამეთუ მჴედართმძლუარობდა სურვილი მოწამისაჲ და მიიზიდვიდა ყოველთა მიზეზი წადიერებისაჲ მიღებად კურთხევისა მისისა. ოა იხილვებოდა კაცი ჴეცისაჲ და ანგელოზი ქუეყანისაჲ, არა სირცხვლჩენად ჴაჴუსა უფლისასა, არამედ ვითარცა სამკაული სასძლოდ ჴედა ედვა საჴივი და აქუნდა პირი მხიარული, ვითარცა არა სიკუდილ, არამედ სერობად ქორწილისა მიმავალსა, ნამდვლვე მხესა ქუეყანით ბრწყინვალესა და

ყოველთა მიმართ განმტკეპელსა შარავანდელთა კურთხევისათასა. წსრეთ წინაძლომით წარეგზავნებოდა ერისა მიერ ვიდრე დაბადმდე **მაროძსა**, რომელი ორ სასწულ შორავს ქალაქისაგან. ჴოველნი შეასხმიდეს, «კვრიელესონ» კმობდეს, მუკლთა მოუდრეკდეს, სარწმუნოებით გუამსა მისსა შეეხებოდეს; ვითარცა წყაროსა კურთხევისასა, ლოცვასა ითხოვდეს, იატაკსა ცრემლით დაალტობდეს. ჰცირედ რად წარვლო დაბად, ყოველნი აკურთხნა სასწულთა ჯუარისადთა. ლლოცვიდა მრავლთა სიტყვთა სიყუარულად და შიშად უფლისა და ყოფად სიმართლესა და მშჯავრსა ყოველსა ჟამსა. ოა იძულებით არწმუნა კუალად ქცევა სახიდე და ესრეთ სრულ ყოგზად. ოა სადაცა იხილის მგზავრ მონასტერი, შევიდის ღმრთისა მიმართ ლოცვათა მიცემად და შეტკობად მონაზონთა და თხოვად მათგან შემწეობისა. წსრეთ სამდღე სლვითა მწუხრსა პარასკევისასა **კასიად** მიიწინეს, და საცნაურ იქმნა **ომარისა** მისლვად მათი და ღამე ყოველ იცეპობდა მოწამე ბორკილებითა და მცველებითა.

IX. ჴოლო განთიად ებრძანა წარმოდგომა წინაშე **ომარისსა**. ჰომელმან იგი წარიდგინა რად, არა რისხვით განაკრთო წმიდა იგი, არამედ მშვდი სახე იქემა, არა თუ წყალობით მომბალმან სულითა, არამედ პირ მამისა მისისა ეშმაკისა ქმნულმან, რომელსა ჰნებავს ყოველთა კაცთა წარწყმედად და არა მისლვად მეცნიერებასა ჭეშმარიტებისა. ლტყოდა უკუე: «მესმა მრავლისა გმობისა თქუმად შენი, არამედ სენსა შინა მძვწვარესა, და მრწამს კორცთა სნეულებისა ძლით სნეულ ყოფად სულისადა შენისა. ლარნა კუალად ვცან შემდგომად სენით განტევებისა მისვე თქუმად შენგან, რად იგი სთქუ სნებასა შინა, არამედ მრავლისა კაცთ-მოყუარებისა ჩუენებითა შენდა, მოგმადღებ ლტოლვად ბრალისაგან: აღიარე ცთომილებად და განკწნილ არს ცთომად შენი; შენ ზედა იყავნ ცხორებადაცა, შენ ზედავე სიკუდილი». ლე რად ესმა ქრისტეს მოწამესა, არა შეიშინა, არცა შეძრწუნდა, არა დაკწსნა სიმკნე გულის-სიტყვსად, არამედ უფროდს პირველისა კადნიერებით და უშიშად მიუგებდა: «ქრისტე ღმერთი ჩემი, რომელ ჩემდა ითქუა, და ამისდა მსახურებად არა დავსცხრები, ჴოლო თქუენ ბრმანი გონებითა, ცრუ წინაწარმეტყუელისასა ირწმუნებთ და ამას მოციქულად ღმრთისა განსთქუამთ. Ⴑჰა, მე მზა ვარ დაჭრად, ჯუარცმად, დაწვად და ყოველთა საგუემელთა სახითა შუებად. Ⴑმათ ზედა მე ვიშუებდე ამათთვს მხიარულ

ვიყო». ლე რად ესმა **ომარს** უძღვებსა, გულითა იბრდლუენდა ლომებრ და წარადგინა წმიდა იგი თვსისა უკუე მამისა, ჴოლო **არაბთა** სკიპტრის-მპყრობელისა **ულიდისსა**, რომელსა ჩუეულებად აქუნდა მძვწვარებად და საზარელებად, არამედ მაშინ თვთ ბუნებითად მოვგო სენისა მიერ განვრცომად მრისხანებისად, რომელმან თქუა წმიდისა მიმართ: «რად არიან შენთვს კმობილნი სასმენელთა ჩემთა. ლყავნ ღმერთად აღსარებად იესუდისი, რომელი იგი კაც არს და მონად დამბადებელისად. ჰადსადა აგინე სამსახურებელთა ჩუენთა, რადსა მშვდი წინაწარმეტყუელი ჩუენი სთქუ მოძღურად სიცრუვისა და მამად ტყუვილისა?!» Ⴑა წმიდა იგი ეტყოდა: «მე არა დავსცხრე, არცა დავსცხრე ქრისტეს ჩემისა ღმერთად და დამბადებელად აღსარებად, მსაჯულად ცხოველთა და მკუდართა, ვითარცა ყოველთა ზედა მქონებელ არს უფლებისა, ჴოლო რომელი იგი იტყვს თავსა თვსსა წინაწარმეტყუელ მონად მწოდებელი ქრისტეს ჩემისა — მას მტყუვრად და მაცთურად. ლასმიეს ღმრთისა-მამისა **დავითის** კმობად: „ვიტყოდე წინაშე მეფეთა და არა მრცხუენოდა“ (ფს. 118,46). ჰეფე უკუე ჴარ შენ, არამედ არა ღმრთისადა უპატიონსეს. ჰაქადება ტანჯვათა? ტკბილ არიან იგინი ჩემდა უფროდს თაფლისა. სიკუდილსა წინადამიდება? ცხორებისა უფროდს აღსარჩველ არს იგი ჩემდა. ლულის-ხმა ყავ უკუე, ვითარმედ ვერ სცვალო სიმტკიცე ცნობისა ჩემისად, რამეთუ ქრისტე იესუდს მიერ ცხოველ ვარ, ვიძვრი და ვარ. ლე არს სურვილი ჩემი, ესე გულის-თქუმად — მოკუდომად ქრისტეს ჩემისა, ჩემთვს ნეფსით მომკუდრისათვს და მესამესა დღესა აღდგომილისა და დიდებით აღმადღებულისა, რადთა დავიკვდრო ცხორებად, რომელი აღუთქუამს მისთვს წადიერებით თვსისა სისხლისა დამთხვევლთათვს».

ჰ ნეტარსა ენასა, მიმსგავსებულსა ენისა მის მოციქულთა თავისასა. ჰ ნეტარსა ცნობასა, რომელსა არა კორცთა, არცა სისხლთა, არამედ მამამან ზეცათამან გამოუცხადა. ჰ სამგზის სანატრელსა კმასა, რომელი ანგელოზთა აზარებს და ეშმაკთა არცხუენს, რომელი წიგნსა ცხოველთასა აღწერა ღმერთმან. ლჰა ღმრთისმეტყუელსა, წინაშე მეფეთა და მთავართა განცხადებულად მკმობელსა ჭეშმარიტებისა. ჩეტარ ჴარ შენ, მძღველო **პეტრე**. ლჰგონებ შენდა მიმართცა თქუმად უფლისა მიერ ჩემისა სამგზის ესრეთ: შენ ჴარ **პეტრე**, სიმტკიცე სარწმუნოებისად, მსგავსი **პეტრე** მოციქულთა თავისა და სასუფეველისა

კლიტეთ-მპყრობელისა, და პეტრე ალექსანდრიელისა მღვდელმონაქმისა, სამებისა მსახური და ქადაგი და განწმენდილი საგანე, ბრწყინვალე მნათობი ყოვლისა სოფლისაჲ. ჰრავალ არს მადლი შენი და ღირს უმრავლესთა შესხმათაჲ: გარნა, რამთა არა წიად ჯეროვნისა განგავრცოთ სიტყუაჲ, კუალად წინამდებარისაჲ აღვიდეთ.

X. სმნეს რაჲ სიტყუანი ესე წმიდისანი **ულ-იდს** მძლავრსა და იხილა უქცევებლობაჲ და სიმტკიცე ცნობისაჲ, განკვრდა შეურყეველობისათჳს, ვერ თავს-იდგა კადნიერებაჲ წმიდისაჲ, ზემთა აღდუღნა რისხვითა და უბრძანა **ომარს**, ძესა თჳსსა, მშობელთა ქუეყანად წარვლინებაჲ მისი ტანჯვად მუნ და ესევითარი განჩინებაჲ განცა მისთჳს, რამთა: «წარყვანებულ იქმნას იგი მამულად თჳსსა; შეკრებასა მის ძლით სიმრავლისა მამათა და დედათა, მოქალაქეთა და მწირთა, უფალთა და მონებისა უღლის მზიდველთასა, ქალთა თანა და ქალწულთა, მოხუცებულთა და ჭაბუკთა, და პირველ ყოველთასა თჳთ ამის ყოვლად-ქებულისა მოწამისა შვილთა და თჳსთასა, და ესრეთ წინაშე ყოველთასა ძირითურთ აღმოეკუეთენ მაგინებელნი ენაჲ და კუალად ზუალისაგან წინაშე ყოვლისა ერისა მოეკუეთოს მარჯუენად კელი და მარცხენე ფერკი, და მიშუებულ იქმნეს ტანჯვისა ძლით ერთ დღე და ესრეთ მეოთხესა დღესა შემოკრიბონ ყოველი ქალაქი, რაოდენთა ზედა წოდებულ იყოს სახელი ქრისტესი, თანამოწოდებითა ყოველთა **ტრიზოფრომსა** ქრისტეანეთაჲთა, უფროსდა მათითა, რომელთა სამღვდლოდ და სამონაზნოდ სახე და წესი ზედა ედვას, რამთა მხილველ იქმნენ მოუთმენელთა მათ ტანჯვათა მოწამისათა სასტიკებასა და შიშულითა და დაუბურველითა თავითა მდგომარე იყვნენ მოწესენი და მონაზონნი, ვითარცა რეცა მხედველნი თჳსისა სირცხჳლისანი, იხილონ რაჲ ტანჯვაჲ მღვდელისაჲ მის. სრეთ რაჲ ესე ყოველნი შემოკრბენ, მოეკუეთენ მას სხუაჲ იგი კელი და ფერხი მეორე, და სადაგველითა ყვან დაბრძობად თუალთაჲ. ჰიერ აღებაჲ ცხედრითა და მოვლებაჲ ყოვლისა ქალაქისაჲ. წინა საყვრის ცემით და ქადაგისა მადლად ცმობით, ყოველი მცმობარი ღმრთისაჲ და მაცთურ მწოდებელი მოციქულისა მისისაჲ და სარწმუნოებისა ჩუენისა მაგინებელი ესევითართა სატანჯველთა შთაგარდეს. სმისსა შემდგომად ჯუარსა დამოჰკიდონ და ვიდრე ზუთ დღედმდე ჯუარსა ზედა მიუშვან კიდებად, მერმელა აღაგზნან საკუმილი ფრიად მტყინარე და თანა ასოებითურთ მოჭრილით, სამოსლებით და

ძელებით, მას შინა ცეცხლსა მისცენ, ვიდრემდის ყოვლად ნაცარ იქმნენ და მოსწრაფებით შეკრებითა შთააბნიონ ნაცარი იგი მდინარესა **იერმუხასა** და საკუმილი იგი განრეცხონ ფრიადითა წყლითა, და წყალი იგი შთაითხიენ მღვმესა ურწყულსა და უდაბნოსა. ღოლო არამცირესა კრძალულებასა ჰყოფდით, ნუ უკუე რამე მოჭრილთა მათ ასოთაგან, გინა სისხლისა დათხეულისა, ანუ სამოსლისა ნაწილთაგანი რამე შესახებელ ვისსამე იქმნენ და ჯუარი დაიცევით ფრიადითა მოსწრაფებითა».

XI. სვეითარი რაჲ ესე ურცხვნოდ და მძვნარე ბრძანებაჲ გამოიღო მამისაგან თჳსისა ძემან მისმან **ომარ**, წიგნებითა ბრძანებითითა აუწყა ყოველივე ესე ზემოთქმული **ზორაას**, მის მიერ მქონებელსა **ტრიზოფრომსა** მთავრობისასა. ოა კუალადცა შეკრული ძკრისმოქმედებრ მამულადვე მისსა კუალად აგეს მართალი იგი, ზოლო **ზორაას** მიღებისაჲ თანა წიგნისა უდროებულ ჰყოფდა ქმნასა ბრძანებათასა; და კუალადცა ნესტუები ქადაგებითურთ მიმოვლიდეს ქალაქსა და ყოველთა ყოვლით-კერძოვე **ზორაასსა** შემოკრებდეს მოწამეყოფად მის მიერ ქმნადთა მათთჳს და პირველ ყოველთაჲსა შვილნი წმიდისანი სიჩოებისა ფრცხილთაჲთაგან შეყენებულნი, გალაგთა მათთაგან გამოიზიდვოდეს, და თჳსთა თანა მისთა და ყოველსა საესებასა ქალაქისასა შემოკრებულ იქმნეს. სარნა არცაღა ანგელოზთაგან უნაწილობდა თეატროდ იგი, რამეთუ ქრისტე ღუაწლის-დამდებელი იყო მოწამისაჲ, ზოლო მბრძოლ ბოროტნი სულნი ჰაერისანი, თჳსთა მიერ მსახურთა განწყობილნი, ზოლო შემწე — ანგელოზნი, საცნაურად განმამტკიცებელნი და განმამღიერებელნი. სული და კორცნი ერთი ერთისა ზედა აღდგებოდეს, რამეთუ დაღაცათუ კორცთა ზედა ტანჯვანი მოიწეოდეს, არამედ წყობაჲ იგი სულისა მიმართვე მიიწეოდა, ტკივნეულ იქმნებოდეს კორცნი, ზოლო ტკივილთა მათ თანა ელმოდა სულსაცა, რომლისა მიერ აქუნდა კორცთა გრძნობაჲ იგი ტკივილთაჲ. სრეთ უკუე ვითარცა ბრძანებულ იყო, **ზორა** თუთცა ბრძანებდა და სიტყუაჲ მისი საქმით იქმნებოდა. წარიკითხეს უკუე ბრძანებაჲ იგი უმჯულოდსაჲ და მოწამე ქრისტესი წინააღმდგომად მეტყუელებდა მზიარულითა და შეუძრწუნებელითა პირითა და კმითა კადნიერითა, და დაუყუდებელითა ცნობითა და ენითა და უფროსდა სულითა, რამეთუ თუალნი და კმად სულისა ვითარებასა გამომაჩინებელ არიან. ნაღადებდა უკუე კადნიერებით

ყოვლისა მიმართ საეკლესიო მისა საესებისა: «იხარებდინ ცად ზეგარდამოდ და ქუეყანამან შეიმოსენ სიხარული; მათნი იმღერდელ ვითარცა ვერძნი და ბორცუნი ვითარცა კრავნი ცხოვართანი. სანძლიერდით ერნო! იშუებდით და იხარებდით ჩემსა ზედა აღსასრულსა. ოჲა დღე ცხორებისა, აჲა დღე მოხედვისა და სიხარულისა და გამოცხინისა, იშუებდით ამით ზედა და ისწავეთ, რამეთუ მახლობელ არს უფალი, რომელნი ზადოდიან მას ჭეშმარიტებით». ოსე რად თქუა, აპყრობილითა თუალითა ზეცად აღიხილნა, ილოცვიდა და თქუა: «აღვიხილენ თუალნი ჩემნი მათა, ვინაჲ მოვიდეს შეწევნაჲ ჩემი?» (ფს. 120, 1).

ოსრეთ წართქუა ფსალმუნი ესე და სიტყუათა ლოცვისათა მოჰკუეთად ენისაჲ ენაცვლა და ძირითგან აღმოიკუეთა ორდანოდ იგი ღმრთის-მეტყუელებისა, ჩანგი ქნარისა მის სულისა, არამედ საფსალმუნე იქმნა ქნარი იგი ზენადთ მიმღებლობითა ვმისაჲთა მადლისა მიერ სულისა და იქმნა უმეტყუელეს უფროდს ვიდრელა პირველ უცხადესად მეტყუელებითა ენისაჲთა და აღიდებდა უფალსა, ზოლო მდინარიტა სისხლთაჲთა მოჰრწყვიდა იატაკსა და წმიდა-ჰყოფდა ქუეყანასა, დათხეცასა საღმრთოჲსა სისხლისასა მიმსგავსებითა. ჰაშინ ძემან მოწამისამან, ვითარცა შვილმან მოწამისამან მოწამებრითა ცნობითა შეჭურვილმან, მპყრობელთა ქადებანი შეურაცხ-ყვნა, შეეხო სისხლსა მამისასა და მის მიერ აღიბეჭდა თავი, რაჟამს წუერი თითისა დააწო და მით სასწაული ჯუარისაჲ გამოისახა შუბლსა, რადთა არა შეეხო მომსრველი. ჰამეთუ ნაწლევნი განეჭრებოდეს თანაღმობითა, ზოლო ცხორებითა მშობლისაჲთა იხარებდა ვითარცა მეცნიერი, ვითარმედ უმჯობეს არს საცხოვრებელი სიკუდილი წუთჟამისა ამის ცხორებისა; ვითარმედ იწროდ და საჭიროდ ბჭე სიერცის და ფართოების მქონებელ არს, რამეთუ ბჭით სიკუდილისაჲთ შეიყვანებს ნეტარებასა. ოინაჲცა სამადლობელთა ვმათა აღმოუტევებდა: «ცხონდით» — რქუმიტა გოდებისაჲთა. ჰამეთუ გოდებაჲ არს ნაშობ გულისა შეწუხებულისა, ზოლო მადლობაჲ ნაყოფ სულისა მხიარულისა. ოსე კადნიერებაჲ იხილა რად ამირამან, დაიშურვა შეილისათჳს კურთხევაჲ მამული და ბრძანა ცემაჲ მისი. ზოლო მოწამე მიერიტგან განიყვანებოდა უბანთა ქალაქისათა და წმიდა-ყვნა იგინი სისხლიტა, რომელსა აღმოჰნერწყვიდა, ვითარცა წყაროდ კურთხევისაჲ. სარნა მოშურნემან მან გუელმან ბრძანა წარკორცად სისხლისაჲ და განრეცხად მდინარიტა, რამეთუ ეძვნებოდა

სიწმიდე ქრისტეანეთა და უცხოთა კეთილებსა ზედა შეიშთებოდა. ოინაჲცა აღარავინ შეეხებოდა, რამეთუ ყოველნი შიშითა შეპყრობილ იყვნეს და იყო მოწამისა შორის სახილველ მეტყუელად ენაჲ სულისაჲ და შჯულნი ღმრთის-მსახურებისანი უტყუ-ჰყოფდეს ბაგეთა მზაკუართა ჰურიტათა და ჰობარიტელთა მხილებითა მგმობარობისაჲთა მოწამისა მიერ. ზოლო ჩუეულებისაჲბერ დაიფარვოდა ქრისტეს დიდებულობაჲ უძლიერებისა მიერ ძლევიტა ძლიერთაჲთა, შემპყრობელისა მისგან ბრძენთაჲსა სიფერაგითა მათითა, რამეთუ ძნიად ვინმე მართლისათჳს მოკუდეს და კეთილისათჳს ნუ უკუე და იკადროს ვინმე სიკუდილი. სახიერ არს ღმერთი და სახიერებისა სახიერთა მიმნიჭებელ და არავინ არს სახიერ გარნა ერთი ღმერთი, ზოლო ქრისტე ღმრთისა სიბრძნე, ძე ღმრთისა, თანაარსი მშობელისა. ოინაჲთგან უკუე მოწამე სიკუდიდ მიიწოდებოდა ქრისტესთჳს სახიერისათჳს სიკუდიდ მიიყვანებოდა. ოა ესრეთ წამებდა, ვითარცა სახიერი ქრისტე იტყვს: «არავინ არს სახიერ, გარნა ერთი ღმერთი». ორა თუ თავსა თჳსსა განჰკდიდა სახიერებისაგან, არამედ ამხილებდა მას, რომელმან ჰრქუა მას სახიერ; ვითარმედ, უკუეთუ სახიერ ვარ მე, ვითარ ვეე შენ იტყვ, ღმერთ ვარ უეჭუელად, რამეთუ არავინ არს სახიერ, გარნა ერთი ღმერთი. წამებდა უკუე მოწამე სიტყუტა და საქმით, ვითარმედ ქრისტე ღმერთ არს ვითარცა სახიერ არს. ოინაჲცა ღმერთად სახელს-დებდა მას და მისთჳს მოკუდებოდა, ვითარცა კეთილისა და სახიერისათჳს. ომისთჳს ყოველი იგი კაცმრავალი კრებაჲ განკჯრეხულნი — «საკჯრველ არს ღმერთი» — ვმობდეს შორის წმიდათა მისთა. ჰამეთუ რად იგი მძლავრთა მოეპოვა მაშინებელად და შემადრწუნებელად ქრისტეანეთა, უმრაველესსა სარწმუნოებასა შეჰმატებდა მათ და წადიერ ჰყოფდა ქრისტესთჳს ვნებად, რაჟამს სიკუდიდ შეკადრებასა ასწავებდა წადიერებით წამებაჲ იგი წმიდისაჲ. ოჲა კაცთმოყუარებაჲ და წინამცნობელობაჲ ღმრთისაჲ, წინააღმდგომთაგან მთხზველი წინააღმდგომთა, და მტერთაგან მომსთულებელი ცხორებისაჲ. ონებლიეთ ქველის-მოქმედ მექმნნეს ჩუენ, უნებლიეთ განმამტკიცნეს ჩუენ. ოსე ესრეთ იქმნებოდა პირველსა დღესა წამებისა მისისასა, რომელი იყო მეხუთე დღე შუდეულისაჲ.

XII. ზოლო ზვალისაგან, რომელი იყო პარასკევი, კუალად შემოკრბა თეატროდ და კუალად მოწამე ილუწიდა უმტკიცესითა გულს-მოდგინებითა პირველისა ჩუეულებისაგან განმცნობილი და

გარდასრულითა ძლევითა შეჰკადრებდა წინააღმდეგომსა, ვითარცა სირისა სამდერულ შერაცხვითა მისითა. ჩამეთუ საღმრთოდ შეწევნა ტკბილუყოფდა მას წყლულებათა და რომელი იგი სმენით თუმცა ვისმე ასმიოდა, აღაშფოთებს და შეაძრწუნებს, ესე ამას თვთ შემთხუეული უფროის სმენილისა უადვილეს უნდა. სრეთ უკუე მარადის-მოცსენებული ესე ქრისტეს მოწამე, სურვილითა ღმრთისადათა შემთხუევისა შინა მისდა ქადებულთასა, ესოდენ ზეშთა იყო ტკივილთა და გრძნობათა მათთა, რომელ ვითარცა შუებისა და არა წყლულებათა მიმართ მირბიოდა, ყოვლისავე გრძნობადობისა ძალისა შეცვალებითა მიწიერთა საყოფელთაგან სასურველთა მიმართ და ვითარ თუმცა მოიღებდა ჯორცთა მიმართ თანაღმობასა, იხარებდა უკუე ხედვითა საღმრთოთა კეთილთადათა და სიკუდილისა მიერ ისწრაფდა სასურველისა მიმართ. ჰუნ უკუე იყო ანდამატისა იგი კაცი და ბრძანა უცხოქმნილმან მან საკრველთა დადებად წმიდათა ზედა ჯორცთა მისთა და ესრეთ მახვლითა მოკუეთად მარჯუენე კელი მისი და მარცხენე ფერკი. ღოლო იგი — «არა ვკმობდე, — იტყოდა, — არცა ვღალადებდე, არამედ ჩემსა ვემსგავსო მეუფესა. ჰჭრიდეთ, მწუვედით, არა აღეშფოთნე, არა განვძრა კელი, არა დაჟაყენო მომკუეთელი». სრეთ განჰმარტა და წარეკუეთა კელი. წმისსა შემდგომად ვითარცა როკვად რადმე განიპყრა ფერკი და უფროისა სამგზის ხეთქნებითა ძლით განიკუეთა ფერკი, და იყო ხილვად, რომელ ვერცამცა ეკლისა ვის განგუმერად თავსედვად, ვითარ იგი მან თვსთა ასოთაგან უცხოხახედ თავს-იდვა უცხო ყოფად, ვიდრე ურწმუნოთაცა ხილვად და დაკრეგებამდე, ღმრთივ-მოცემულისა მისთვს მონათა მისთა შეწევნისა. ჩამეთუ ხედვიდა თვსთა ასოთა მოჭრილად და ვითარცა წინა-წარვლინებულთათვს უმჯობესად ცხორებად, იხარებდა სასოებითა. «გმადლობ შენ, — იტყოდა, — დამბადებელო სულისა ჩემისაო ჯორცთა ჩემთათვს. ჩამეთუ არა წარწყმდების გეპენიასა შინა, რომელ ესე მომეც მე სული ჯორცთა თანა, არამედ ფერკი ღირს იქმნეს ძნობისა ანგელოზთადასა და კელი მიღებად გვრგვნსა სიმათლისასა». წმისსა შემდგომად ეცინოდა უძლურებასა მდევართასა და უმეტესთა ვნებათა პატივის-მოყუარებად სურვიელ იყო სიმცნით თავს-დებითა, შეურაცხყოფითა აწინდელთადათა და მიხედვითა ყოფადთა მათ მოსაგებელთა საუკუნეთა კეთილთასა, რომელ განუმზადა ღმერთმან მოყუარეთა თვსთა.

XIII. სამოვიდა უკუე ზორამსგან ბრძანებად ყოველსა მას სოფლებსა, **კაპეტოლიადსა** ვიტყვ, **ღადარონსა** და **აბილსა** მიმოვლებითა მქიწენეთადათა ყოველთათვს ქრისტეანეთა, მამათა და დედათა, მონაზონთა და მოწესეთა, კვრიაკესა დღეთასა განთიად **კაპეტოლელთა** ქალაქად შემოკრებად. ჩამეთუ ჯერ-იყო პირველ სიკუდილისა დღესასწაულობად მოწამისათვს და ყოველნი უდროებელად შიშითა ქადებულისა ტანჯვისადათა მორბიოდეს მისსა. ჩამეთუ ქადებულ იყო, ვითარმედ უწყალოდ იტანჯოს ყოველი, რომელი დროებდეს მუნ მისლვად. ოა სახილველ იყო ყოვლად-საეროდ თეატროდ და კეთილი იგი მოღუაწე კუალად ზეშთამბრძოლ და წინამბრძოლ იყო სარწმუნოებისა, და ბრძოლილ მის ძლით, ვითარცა ნამდვლვე მტკიცე და მიუდრეკელი წინასაკუეთებელი ზურთებისაგან ბოროტთა სულთადას ვერ დასაკუეთებელი. ჩამეთუ მოუკდებოდა მბძოროლი, არამედ დაეკუეთებოდა მოთმინებითა მოწამისადათა. ღედავთა ვითარ კუალად მორკინალობს? რამეთუ მიიყვანებოდა მოწამე სხუათადათა და ვერ თვსითა ფერკითა. ჰეთთხე იყო დღე წამებისადა, ღოლო პირველი შვდევლისადა, და ვითარცა მოიწიენეს წინამყოფსა ტაძარსა ღმრთის-შობილისასა, ითხოვა მუნ ლოცვად შესლვად და ვერ მიემთხვა სიფიცხისაგან მომყვანებელთა ცნობისა არ მიშუებული, გარნა ვგრეთცა ილოცა გონებითა, რადათა სტადიონად შეყვანებასა შემწედ აქუნდეს დედად ღმრთისადა. ოა კუალადცა ითხოვა მიღებად წმიდათა საიდუმლოთადა და ჯორცი სამეუფოდ მიიღო საგზლად. ჩამეთუ მიშუებულ იქმნა არათუ მდევართა ცნობისა კეთილქმნისაგან, არამედ საღმრთოდას გონებისა ესრეთ აღმძრველობითა. ჰიილო უკუე და პირი რადა შთაირღუნა წყლითა, კუალად მათვე ღუაწლთა მიისწრაფდა, ვიდრემდის მოეკუეთა სხუაცა კელი და მეორე ფერკი, და სადაგველითა პირუტყუთა ცხოველთადათა დაუბრძნეს სახედველნი და ცხედრითა კიდით-კიდედმდე ქალაქისა მიმოიყვანა იგი განსაქიქებელად ნესტუებისა და ქადაგთა, წინამაგულ და წინამკმობელ ყოფითა: «ყოველმან, რომელმან გმოს ღმერთი და აგიონოს წინაწარმეტყუელსა და მოციქულსა მისსა, და შეურაცხყოფით ბასრობდეს სარწმუნოებასა ჩუენსა, ესრეთ შეემთხვოს». სე რადა ესმოდა მოწამესა, ვითარცა სიძე ქებათა ზედა იხარებდა, ვითარცა ქრისტეს თანაგებულისა და წინამაგულად მქონებელი ჯუარისა მისისა. წმისთვს სამადლობელთა განსლვისა სიტყუათა **დავითისთა** იტყოდა: «თმენით დაუთმე უფალსა და მომხედნა მე და ის-

მინა ვედრებისა ჩემისა და აღმომიყვანა მე მღვმით უბადრუკებისადა და თიხისაგან უყისა, და დაადგინნა კლდეა ზედა ფერცნი ჩემნი და წარჰმართნა სლვანი ჩემნი და აღავსო პირი ჩემი გალობითა ახლითა ქებად ღმრთისა ჩემისა» (ფს. 39, 1-3). ოა სრულ ყო ნეშტი ფსალმუნისა.

XIV. ოა მიიწია რად აღგილსა ნეტარისა აღსასრულისა თვისისა, გარეგან ქალაქისა, ადგილსა მაღალსა, ასურთა კმითა **ტურლიპარად** სახელდებულისა, რომელი გამოითარგმანების მთად, და მიიყვანა რად აღგიდ, კუალადცა ილოცვიდა და თქუა: «სული ჩუენი ვითარცა სირი განერა მახისაგან მონადირეთაჲსა. საფრე შეიმუსრა და ჩუენ განვერენით» (ფს. 123, 7). ჰერმეცა აღიზილა თუალი გონებისა ზეცად და აღებითა ქედისადა კმაყო და თქუა: «უფალო, კელთა შენთა შეეკვედრებ სულსა ჩემსა», და ესრეთ დაეკრა ძელსა და სიმაღლედ აღზიდულ იქმნა და სამეზის იგუმირა ლახურითა გუერდსა, ტრფიალი იგი სამებისა, და კელთა ღმრთისათა მისცა სული. ჯამეთუ სულნი მართალთანი კელთა შინა ღმრთისათა, საწინაწარმეტყუელოდ ვიტყოდი, და არა შეეზოს მათ ტანჯვაჲ. ოა იცვებოდა მცველთაგან არა საფლავსა შინა, არამედ ჯუარსა ზედა ზუთ დღედმდე. ღოლო იყო მაშინ ნეფზად, რაბამი მრავლით წლითგან არა ზილულ არს, არამედ ყინვაჲ ფრიადი იქმნა, შეჰყინვიდა მცველთა მათ და მძნვარედ სტანჯვიდა, რადთა ცეცხლი ძლიერი აღაგზნეს და ვერეთ ითმენდეს ცვად მოწამისა. ღოლო ყოველნი მუნ შემოკრებულნი წარვიდეს სახიდ თვისსა, აღვსებულნი საკრველებითა და განცებრებითა. ოა აღესრულნეს რად ზუთნი იგი დღენი ცვისანი, კუალად გამოკდა ბრძანებაჲ ზორადსგან, შეკრებად ყოველსა სიმრავლესა ქალაქისასა და აღტყინებად თორნე ცეცხლისაჲ მახლობელად პატიოსანსა მონასტერსა **საბინიანე** კეთილდამძღვისა მოწამისსა, რომელსა შინა იყვნეს აწ-საქებელისა ამის **პეტრეს** ასულთა მრჩობლობანი შეყენებულ. ოა ვითარცა სრულ იქმნა ბრძანებაჲ, მყის შემოკრებითა ყოვლისა ქალაქისადა შთამოიყვანეს ძელითურთ გუამი ნეტარისა და ძლევა-შემოსილისა **პეტრესი**, და მოუკდეს კაცნი ღმრთის-მოშიშნი და მკართა ზედა სიმაღლედ აღიღეს იგი, არამედ კუალადცა შურისა თანანერგობამან აღიშურვა კურთხევაჲ მისი ღმრთის-მოშიშთათჳს და ბრძანა კელითა **ებრაელთა**და ადებაჲ, **ებრაელთა** წინააღმდეგომ მბრძოლისა, და თითოეული მორწმუნეთაგანი განიდევნეს და ცხენოსანთა გარემოიცვეს,

რადთა ვერ მისაახლებელ ყონ მორწმუნეთათჳს გუამი მისი და ესრეთ შთასხიეს ძელებითურთ საკუმილად და სისხლშებდალულებით ძონძებით და მოკუეთილებით ასოებით და ყოვლით სამოსელ-კამლებით, მრავალმოღუაწე იგი გუამი; ვიდრემდის დაიწუა და მტუერ იქმნა ყოველი და მტუერიცა იგი საქუფთესა შთაიდვა და ბეჭდითა მჰყრობელთადა უმეტესისა კრძალულებისათჳს დაბეჭდულ იქმნა და კელითა მკედართადა წარღებული შთაიბნია მდინარესა **იერმუხაიკისასა**. შმისსა შემდგომად თორნე იგი განრეცხეს წყლითა და წარკოცეს ძონძებითა და შთასხეს მღვმესა ურწყულსა და უდაბნოსა.

XV. სე არს აღსასრული ნეტარისა წამები-
სა **პეტრე** სანატრელისა, რომელმან კეთილად იწყო წამებასა და კეთილი გკრკნი დაიდვა ღუაწლთა, ვითარმე ღირსებით დაგკკრდეს მისი ღმრთისა მიმართ სიყუარულისა მგზებარეობაჲ. ნამდვლვე უძლიერეს არს სიყუარული, უფროჲს სიკუდილისა. შა განუცხნელობასა საღმრთოსა სიყუარულისა საკრველთასა; შ სიბრძნესა **პეტრე** საუკუნოდ-მოცხენებულისასა, რამეთუ კეთილად განყო და განბჭო ცნობაჲ არსთა და ამათისა პირისაგან გულის-ხმა ყო თანაშეუტყუებელობაჲ დამბადებელისა მათისა. «საკრველ იქმნა, თქუა მისსა მიმართ, ცნობაჲ შენი ჩემგან განძლიერდა და ვერ ძალ-მიძს მისსა მიმართ». შოცნა ქმნულთაგან შუენიერებაჲ შემოქმედისა, მისსა მიდრიკა გული თვისი, გემოჲ იხილა სიტკბოებისა, ყოველივე სურვილი თვისი მისსა მიმართ აღძრა, მოუდრიკა იგი უღელსა ქრისტესსა სიყუარულმან ქრისტესმან და ტკბილი იგი ტრფიალებაჲ მისი გულად-ილო, ჰამბორს უყო მას პირითა საცნაურითა, გულმტკიცე იქმნა სიტკბოებითა მისითა, აღგზნა სიყუარულითა მისითა და იცვალა გონებაჲ მისი, ყოვლად განჰკრთა მისსა მიმართ და ვიდრე ძუალთამდე და ტვნთა ამისთა განვლო ტრფიალებამან მისმან, არა იყო თავისა თვისისა: არა იყო ზილულთა, არამედ ყოვლად-სასურველისა მიმართ განვიდა, ყოვლად იყო ღმრთისა და ყოველსა მისსა საღმრთო მოქმედებაჲ შეიერთა. სღიშურვა შური სასურველისა, რამეთუ სურვილისა გამოხატვაჲ უწყის შურმან და სურვილისგან გამოვალს შური კეთილისა; ჰბადვიდა სასურველსა ქრისტესსა, მისთჳს მოშურნე იქმნებოდა მათ ზედა, რომელნი პატივსა და დიდებასა ძეობისასა მიუღებდეს მას; და ესმოდა რად გმობით მონაწილებაჲ თვისსა მეუფისა, განკურდა შურითა, აღიძრა მზილებაჲ, დაღათუ არა ნაშობ

შურისა არს მხილებად. **შმიერ იწყო მხილებად** უვარის-მყოფელთა მეუფისა ღმრთეებისათა. **ეკბილ და ჩჩვლ** არს საღმრთო ტრფიალებად, არამედ მოტყინარეცა; **ტკბილ და საწადელ**, არამედ მგზებარე და უმოტყინარეს ცეცხლისა. **ჩამეთუ ცეცხლ უნივთო** არს ღმერთი ჩუენი, განმღვევლ ყოვლისა სიბოროტისა ნივთთა და სისუბუქისა და ცეცხლად აღაგზებს ტრფიალთა ცა თვსთა. **შმი**თ აღევზნა ნეტარი ესე და მკუეთულობით ამხილა ტრფიალთა ცუდსახელისა მეცნიერებისათა. **შა**ნუ ვინ აბრალეbs მოწამესა კადნიერებისა და სიმკნისათვს, რამეთუ დაღათუ შჯულ მოწამებისა თქუმულ არს, რამთა არცა წოდებული ივლტოდის ღუაწლისაგან, არცა კუალად თავი თვსი განსცეს წამებად, რიდობითა მღვართათა და თანამეცნიერებითა ბუნებისა უძღურებისათა, არამედ «მართალთა შჯულ არა უც» (1 ტიმ. 1,9), არცა ზეშთა ქმნულთა მათ კორცთა ამათ სიმდაბლისათა და განსრულთა ბუნებისაგან და კეთილისა შეცვალებისა მიერ შეცვალებულთა. **ხეთილად** თანამოწამე მექმნებოდედ მე საღმრთოთა სურვილითა აღტყინებულნი და ვიდრე სიკუდიდმდე მწუენებელნი შურისანი, რომელთა მიერ იგი იტყოდეს და იქმოდეს. «ვიტყოდე, იტყვს მაჰად ღმრთისად **დავით**, წინაშე მეფეთასა და არა მრცხუენოდა» (ფს. 118,46). **შმი**ხილა ოდესმე მეფესა უშჯულოქმნილსა **თუზბიტელმან ელია** და მღდელთა სირცხვლისათა ამხილაცა და მოაკუდინნაცა, და მომპოვნებლობისათვს შურისა ცეცხლმბერველისა ეტლებითა და ცხენებითა ცეცხლისათა სასურველისა მიმართ წარიყვანა, რამთა გარეგან ყოვლისა ნივთისა ქმნული მხოლოდ ზრახვიდეს უნივთოსა. **შა** ცეცხლითა აღტაცებამან მისმან ცხად ყო, ვითარმედ შურისა მოღუაწე იყო. **შმი**ხილა **დანეილ** უმღდელთა მათ მღდელთა. **შე** იგი არიან მოხუცებულნი, **სოსანამ**ს ძლით დარწმუნულისა მისთვს მაზისა და სიფერაგეთა კადრებისა, რაჟამს უსამართლო სიკუდილი განაჩინეს უბრალოსათვს, რომელნი ბევრეულის სიკუდილის თანამდებ იყვნეს უშჯულოებისათვს მათისა და სიკუდიდ დასაჯანა შჯულისა წინააღმდეგომ ყოფისათვს. **შმი**ხილა **იოჟანეცა** წინაწარმეტყუელმან და წინამორბედმან, აღზრდილმან არა უდარეს ღმრთის-მსახურებისამან, რაოდენ უდაბნოვსამან, მაწუყებლობითმან კმამან სიტყვსამან, ცისკარმან, მთიებმან ვარსკულაჟმან, წინამომთხრობელმან მზისამან, წინაწარმეტყუელთა ბეჭედმან, წინაწარმეტყუელთა უზესთაჟმან, რომელი წინარბიოდა პირველყოფილისათვს,

კაცმან უკორცომან და ანგელოზმან კორცითა, ამხილა უშჯულოებისათვს **ჰეროდესა**, სულითა და ძალითა **ელია**სითა მოსრულმან, მოშურნემან და შურის-მემიებელმან შჯულისამან, რომელმან **შჯულ**კეთილობისათვს სიკუდილი მიიღო და სული დადვა, უპატიოსნეს მისსა შერაცხვითა შჯულისათა, უფროდსა შიშითა და სიყუარულითა შჯულის-მომცემელისათა. **ჩა**დ-მე უკუე მოციქულნი, ანუ არა მეფეთა და მთავართა და ყოველთა წარმართთა წინაგანწყუნესა? რად-მე **სტეფანე**, სახელმოდგამობით გვრგვანმან მოწამეთამან, არა ამხილაა ღმრთისმკლველთა ჰურიათა მთავრებსა? «თქვენ, ჰრქუა, მარადის სულსა წმიდასა აღუდგებით» (საქმ. 7,51). **შა** **თეოდორე** დიდებულმან მოწამემან, ანუ არა ტაძარი დედისა ცუდსახელთა ღმერთთაჟსა დაწუა? ხოლო რასა იგი დიდი **ბასილი** საკვრველისა მოწამისა **გორდისათვს** წარმოიტყვს თვთ მითვე სიტყუებითა გიქადაგო: «მაშინ მკნემან მან და დიდმან სულითა, დიდმან ცნობითა, ზენადთ მთით თეატროდ შთამოსლვისათვს არა შეიშინა ერისაგან, არად შეჰრაცხა რაოდენთა კელთა მბრძოლთა მისცემდა თავსა თვსსა, არამედ შეუძრწუნებელითა გულითა და უშიშითა ცნობითა, ვითარცა კებათა მრავალთა ანუ ხეთა კვირთა, მოუკდა მსხდომარეთა სტადიონისათა და შორის მათსა დადგომითა ცხადყო სიტყუად იგი: მართალი ვითარცა ღომი ესაგნო. **შრეთ** შეუძრწუნებელ იყო სულითა, ვიდრელა საჩინო რად თეატრომსა იქმნა უქცველითა კადნიერებითა, კმა ყო სიტყუად იგი, რომლისა მაშინ მსმენელთაგანნი ვიეთნიმე ჯერეთ აწცა არიან: ვეპოვე ჩემთა არა მემიებელთა, განვეცხადე ჩემთა არა მკითხველთა». **შმა**თ მიერ ცხად ყო, ვითარმედ არა იძულებით მოყვანებულ იყო ჭირთა მიმართ, არამედ ნეფსით ღუაწლთა განსცა თავი თვსი. **შს**გავსა მეუფესა, რომელმან სიბნელესა ღამისასა უცნაური **ჰურიათა** გამოუცხადა თავი თვსი. **შმი**ხილა ამანცა მართალმან არა მეფესა უშჯულოსა, არცა მღდელთა მცოდველთა, არცა **ჰეროდეს** ოთხმთავარსა, მემრუშისა თანა მწუბებელსა, არამედ ნათესავსა სრულსა უვარის-მყოფელთა ძისა ღმრთეებისათა, რომელთა ძე მეუფისად, ძე ღმრთისად განკადეს ღმრთეებისაგან და თვთ ბუნებით მეუფე თანამონა ყვეს. **ჩამეთუ** პირითა მემობრად-მზრახვალთა ჰემობდეს მას, რომელი იგი მამისა თანა მეუფებს ყოველთა; ამისთვს მისცნა კორცნი ტანჯვად და სული სიკუდიდ და კიდ ყო სიკუდილი ცხორებისა მიმართ საუკუნოჟსა; მიიწია სასურველისა და უნივთოდ

ეზრაზა მას, განიშუა ხედვითა მისითა. შიილო კადნიერებად და სოფლის მეოხად დადგინებულ იქმნა, და მტკიცე მცველ მამულისა, დიდება ეკლესიისა, სიმტკიცე მეფობისა, სიხარულ ერთა.

შოვედით უკუე, ღმრთისა სამღდელონო სამწყსონო, მოწამებრ სამღდლოდთა ქებითა მოწამე გვრგვონოსან ვყოთ, მოთმინებისათჳს დაგვკვრდეს, სარწმუნოებასა ვებაძენეთ, წადიერებასა ვემსგავსნეთ. სვრგვონოსან მყოფელსა ღუაწლთადსა და

მომცემელსა ღუაწლის შემდგომთადსა ვიდიდებდეთ — ქრისტესა ღმერთსა ჩუენსა, რომელ იგი არს ღუაწლთ-სანაცვლო მოწამეთად და შუებად საუკუნოდ, რომელსა შუენის ყოველივე დიდებად პატივი და თაყუანის-ცემად, თანადაუსაბამოდ მამით და ყოვლად-წმიდით, სახიერით და ცხოველს-მყოფელით სულითურთ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

